# შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ორგანიზების პროექტი

ქ. ხაშური, ფალიაშვილის ქ. N 10

მფლობელი: სახელმწიფო

დამკვეთი: ქ. ხაშურის N 6 საჯარო სკოლა

შეთანხმებულია:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი /____________/

## ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

## ბრძანება

KA990181086428917

**№ 1363** **16 / მაისი / 2017 წ.**

### სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57-ე დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების 65-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 30 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს, სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ ხადური) სარგებლობაში არსებული ამორტიზებული (N 2) შენობის (მდებარე ქ. ხაშური, ფალიაშვილის ქ. N 10, საკადასტრო კოდი 69.08.63.147, მესაკუთრე სახელმწიფო) დემონტაჟის პროექტი;

2. ბრძანება ეცნობოს სსიპ ქალაქ ხაშურის N 6 საჯარო სკოლის დირექტორს;

3. ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებას;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15).

გამგებელი გიორგი გურასპაშვილი

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015554930 - 29/09/2015 15:11:31

მომზადების თარიღი
09/10/2015 15:46:46

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ხაშური | ხაშური | | |
| **69** | **08** | **63** | **147** |

**მისამართი: ქალაქი ხაშური , ქუჩა ფალიაშვილი , N 10**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება

**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო

**დაზუსტებული ფართობი:** 3870.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**69.08.06.043;**

**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:**შენობა-ნაგებობა N1 (სკოლის შენობა) საერთო ფართი 3223.34 კვ.მ, N2 საერთო ფართი 31.45 კვ.მ, N3 საერთო ფართი 28.78 კვ.მ

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 692004000676 , თარიღი 14/05/2004**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- დადგენილება N14 , დამოწმების თარიღი:15/01/2004 , ხაშურის რაიონის გამგეობა

**მესაკუთრეები:**
**სახელმწიფო**

**მესაკუთრე:**
**სახელმწიფო**

**აღწერა:**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

რეგისტრირებული არ არის

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015554930 თარიღი 29/09/2015 15:11:31** | მოსარგებლე: სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლა<br>მესაკუთრე: სახელმწიფო;<br>საგანი:მიწის ნაკვეთი 3870.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N1 (სკოლის შენობა) საერთო ფართი 3223.34 კვ.მ, N2 საერთო ფართი 31.45 კვ.მ, N3 საერთო ფართი 28.78 კვ.მ;<br>არსებობის ვადით; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/10/2015** | **მომართვა, რეესტრის ნომერი N11/55046, დამოწმების თარიღი16/09/2015, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** |

---

# ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი:**

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

## საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *69 08 63 147*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882015429197
მიწის ნაკვეთის ფართობი: *3870* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მომზადების თარიღი: 31.07.15




| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01/2 | შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა | | ვალდებულება | | ხაზობრივი ნაგებობა |
| | მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | მშენებარე ნაგებობა | UTM | (საერთაშორისო) სისტემის კოორდ. |

# განმარტებითი ბარათი

დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები მდებარეობს ქ. ხაშურში, ფალიაშვილის N 10- ში.

მიწისი ნაკვეთის ფართობი შეადგენს - 3870.00 $მ^2$

სადემონტაჟო N2 შენობის განაშენიანების ფართობი - 41.80 $მ^2$

ამორტიზირებული გარე სანკვნაძის სადემონტაჟო შენობა ერთ სართულიანია, რომელიც აშენებულია წითელი აგურით და გადახურულია აზბესტცემენტის ფილებით (შიფერი). სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციით.

ქუჩის სავალ ნაწილზე სამშენებლო ნარჩენების დაყრა დაუშვებელია.

I.E. MIKHEIL LATSABIDZE 57001048907

I.E. MIKHEIL LATSABIDZE 57001048907

ორთო ფოტო



სიტუაციური გეგმა



# სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი

| N | სამუშაოების დასახელება | 3 თვეები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | II კვირა | | II კვირა | | II კვირა | | II კვირა | | II კვირა | | II კვირა | |
| 1 | თუნუქის სახურავის მოხსნა | ■ | | | | | | | | | | | |
| 2 | სახურავის ხის კონსტრუქციების დემონტაჟი | | ■ | | | | | | | | | | |
| 3 | რკინა-ბეტონის სარტყელის დემონტაჟი | | ■ | | | | | | | | | | |
| 4 | კარ-ფანჯრების დემონტაჟი | | | ■ | | | | | | | | | |
| 5 | საკედლე ბლოკის დემონტაჟი | | | | ■ | | | | | | | | |
| 6 | იატაკის დემონტაჟი | | | | | ■ | | | | | | | |
| 7 | მილგაყვანილობის და სველი წერტილების დემონტაჟი | | | | | | ■ | ■ | | | | | |
| 8 | სხვადასხვა სამუშაოები | | | | | | | | ■ | ■ | | | |
| 9 | სამშენებლო ნარჩენებისგან ტერიოტრიის გასუფთავება | | | | | | | | | | ■ | ■ | |
| | | | | | | | | | | | | | ■ |

I.E. MIKHEIL LATSABIDZE 57001048907

I.E. MIKHEIL LATSABIDZE 57001048907

KA021746609041416

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

ქ.გორი, სამეფოს ქ.50

N11/47521

14 / სექტემბერი / 2016 წ.

**სსიპ - გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლას**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი შემოსული, თქვენი 08.09.2016წ. №MES 6 16 01041978 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის (N2- საპირფარეშო, საკადასტრო კოდი N69.08.63.147) ჩამოწერისა და დემონტაჟის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემას, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, სააგენტო არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 და დემონტაჟი განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N239 დადგენილებების შესაბამისად.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსი

მამუკა ჩაჩანიძე

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 0 16 01002083

31/08/2016

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ ზვიად გოგუაძეს

ბატონო ზვიად,

თქვენი N949633 წერილის საფუძველზე ჩატარდა ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის (ს/კ 69.08.63.147) ამორტიზებული გარე სანკვანძის შენობის (02) ვიზუალური დათვალიერება მისი დემონტაჟის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით.

გარე სანკვანძის შენობა გეგმაში 3X10 მ ზომისაა. შენობის კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. ხის სახურავი აზბესტცემენტის შიფერითაა დაფარული. ამჟამად გაუქმებული სანკვანძის კედლები ცვეთაგანცდილია. დემონტირებულია შიდა ტიხრები, მოწყობილობა და სანკვანძის კარ-ფანჯარა. სრულადაა ამორტიზებული ხის სახურავი და ბურული. სკოლის გარე სანკვანძის შენობა მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია.

ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის გარე სანკვანძის შენობა 02 ექვემდებარება დემონტაჟს.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზი მაჩაიძე

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 17 00343052

10/04/2017

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 30/03/2017 წლის N306037 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 31/08/2016წ. N2083 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

**ეკონომიკური დეპარტამენტი**
დეპარტამენტის უფროსი
ზერიძე მამუკა